



ადმოსავლეთის კარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 30 იანვარი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00 საათი

შეხვედრის ადგილი: საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. ნუგზარ სულამანიძე - კავშირის "ეკოტეკი"
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. სალომე კობალავა - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
7. ნინო ჯოჯუა - ასოციაცია "მწვანე ტალღა"
8. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
9. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

შეხვედრა გახსნა თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს აცნობა, რომ ჯგუფის გადაწყვეტილებით სამუშაო შეხვედრები გაიმართება ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს, 17:00 საათზე. ჯგუფის ნებისმიერ წევრს ექნება საშუალება მოითხოვოს რიგგარეშე შეხვედრის დანიშვნა, თუმცა საჭიროა ამის შესახებ სამი დღით ადრე აცნობოს ჯგუფის თანაკოორდინატორებს, რათა მათ უზრუნველყონ შეხვედრის ორგანიზება. გეგმიური შეხვედრებისთვის გაიწერება თემატიკა, რომელიც წინასწარ დაიგზავნება ჯგუფში. ყოველი შეხვედრისთვის განსაზღვრული იქნება ერთი ძირითადი თემა, ხოლო სხვა განსახილველ საკითხებს ჯგუფის წევრები თავიანთი ინიციატივით დაამატებენ.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ყოველ მოთხოვნაზე რიგგარეშე შეხვედრების დანიშვნა, რადგან დიდია შანსი იმისა, რომ თვის განმავლობაში რამდენიმე ასეთი შეხვედრის ორგანიზება გახდება საჭირო, ამასთანავე შესაძლოა დღის წესრიგში იყოს ისეთი საკითხები, რომლებიც ნაკლებად საინტერესოა ჯგუფის წევრებისთვის. თანაკოორდინატორი დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას, თუმცა აღნიშნა, რომ ჯგუფის მუშაობის საბოლოო რეგლამენტის ჩამოყალიბებამდე, სასურველია ჯგუფის საქმიანობა წარიმართოს უკვე დასახელებული პრინციპით. მისი თქმით, ორი კვირის ვადაში თანაკოორდინატორები მოამზადებენ რეგლამენტის სამუშაო ვერსიას, რომელშიც გაიწერება ჯგუფის მუშაობის კონკრეტული წესები და პირობები, მათ შორის რიგგარეშე შეხვედრების მოთხოვნის შესაძლებლობები. აღნიშნული დოკუმენტი კომენტარებისა და შენიშვნებისთვის დაიგზავნება ჯგუფში და შემდეგ შეხვედრაზე წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, მოხდება მისი მიღება.

რაც შეეხება თემატურ შეხვედრებს, თანაკოორდინატორის აზრით, უკვე არსებობს ორი პრინციპული საკითხი, რომელზეც აუცილებელია ჯგუფის წევრებს შორის შეთანხმება. ერთი მათგანი ეხება რადიაციული უსაფრთხოების კანონში შესატან ცვლილებებს. დღეს მოქმედ კანონში რადიაციულ უსაფრთხოებაზე სახელმწიფოს არანაირი ვალდებულება არ აქვს. საქართველო არის სამი რადიაციული კონვენციის მხარე, რომლის თანახმადაც, რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. კანონში შედის ცვლილებები, თუმცა სახელმწიფოს ვალდებულება არც ამჯერად არის გათვალისწინებული. თანაკოორდინატორის თქმით, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს ვალდებულება გაიწეროს კანონში და ეს მოთხოვნა შესაბამისი დასაბუთებით განხილულ იქნეს პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ წიაღისეულის მართვა გადადის საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (სსიპ). სსიპ არის კერძო სამართლის სუბიექტი და შექმნილია როგორც აღმასრულებელი ჯგუფი, რომელსაც აქვს კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება. სსიპ - ის თანამშრომლები არიან არა სახელმწიფო, არამედ საჯარო მოხელეები. თანაკოორდინატორის თქმით, დაუშვებელია წიაღისეულის მართვა განახორციელოს მოგებაზე ორიენტირებულმა ორგანომ. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს. საჭიროა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ ცალკე შეიქმნას გეოლოგიური სამსახური, რომელიც იქნება ცენტრალური აპარატის შემადგენელი ნაწილი. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია შეიცვალოს მთლიანად სტრუქტურა, რადგან ეს საკითხი არ ეხება მხოლოდ წიაღისეულის მართვას, მსგავსი პრობლემებია სხვა დანარჩენ სფეროებშიც.

თანაკოორდინატორის თქმით, იგივე პრობლემა დგას გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურასთან დაკავშირებით. აუცილებელია დაიწყოს დიალოგი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს გზშ პროცედურები საქართველოში. ზოგადად პროცედურა არის 7 ეტაპიანი. საქართველოს გარემოს დაცვის ნებართვის კანონით, რომელიც გაუქმდა 2006 წელს გათვალისწინებული იყო 4 ეტაპი. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა ფაქტიურად აღარ არსებობს მას შემდეგ, რაც გაუქმდა გარემოს დაცვის ნებართვა და შემოვიდა

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. შედეგად, შემცირდა სია, მოიხსნა კატეგორიზაცია და შეიცვალა მთლიანი სტრუქტურა. დღეს საჭიროა მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მეწარმეს ევალუა ჩაატაროს საზოგადოებრივი განხილვა. გარემოს დაცვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება (რომელიც არის მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი) არ იწვევს მშენებლობის ნებართვის გაუქმებას. რამდენადაც კანონის ერთი მუხლის გაუქმება არ ნიშნავს მთლიანად კანონის გაუქმებას, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, არის მშენებლობის ნებართვის გაცემის მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველი, მისი გაუქმება არ ნიშნავს ავტომატურად მშენებლობის ნებართვის გაუქმებას. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება სსიპ - ის მეშვეობით.

თანაკოორდინატორის აზრით, აუცილებელია აღნიშნული საკითხი შევიდეს ჯგუფის სამოქმედო გეგმაში და სამუშაო წლის ბოლოსთვის მომზადდეს რეკომენდაციები ევროკავშირში უკვე აპრობირებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა წამოაყენა ინიციატივა, რომ ჯგუფმა იმსჯელოს ასევე სამშენებლო კოდექსის შემუშავების საკითხზე, რაზეც თანხმობა მიიღო თანაკოორდინატორისგან.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ზემოთ დასახელებულ საკითხებზე მომუშავე დონორებთან კომუნიკაციის დამყარება, მათგან ინფორმაციის მიღება და პროცესებში ჩართვის შეთავაზება. ამასთანავე, აუცილებელია კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირება და შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა, რადგან პრობლემური საკითხების ნუსხა საკმაოდ დიდია, თუმცა ადამიანური რესურსი - არსაკმარისი ყველა პრობლემის მოსაგვარებლად. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, პლატფორმისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა იყოს სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა. თანაკოორდინატორის თქმით, მნიშვნელოვანია პლატფორმა უფრო აქტიურად იყოს ჩართული ევროკავშირის მიერ სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებასა და განხილვაში.

თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო იწყებს მუშაობას ბიომრავალფეროვნების დაცვის მოქმედებათა გეგმაზე. დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას უკვე იღებს რამდენიმე გარემოსდაცვითი ორგანიზაცია (ნაკრესი, რეკი, WWF). თანაკოორდინატორის ინფორმაციით, დაიტერესების შემთხვევაში, ჯგუფის რამდენიმე წევრს ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს განხილვებში.

ამის შემდეგ დამსწრეებმა იმსჯელეს სხვადასხვა კონკურსების ფარგლებში კოალიციური პროექტების მომზადების საკითხზე. თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ გამოცხადებულია კონკურსი განახლებად ენერჯიებზე და შემდეგ შეხვედრაზე ის ჯგუფს წარუდგენს ამ კონკურსისთვის მომზადებულ კონცეფციას. მწვანე ტალღის წარმომადგენლის თქმით, ორგანიზაცია ამზადებს საპროექტო განაცხადს ევროკავშირის საგრანტო კონკურსის ფარგლებში და განიხილავს კოალიციური პროექტის შეტანის შესაძლებლობასაც. პროექტის მიზანია პარტნიორებისთვის ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა რადიო გადაცემებითა თუ სოციალური ქსელების მეშვეობით. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა,

რომ მან უკვე გამოხატა კონკურსში მონაწილეობის ინტერესი და პლატფორმაში დააგზავნა კიდეც ხედვა ამასთან დაკავშირებით. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ დაინტერესებული ორგანიზაციები თავად განიხილავენ პარტნიორობის შესაძლებლობებს.

თანაკოორდინატორის თქმით, არსებობს კიდეც ერთი პროექტის იდეა, რომელიც დაკავშირებულია იურიდიულ მომსახურებასთან და გულისხმობს გარემოსდაცვით კანონმდებლობაზე შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იურისტებთან ერთად რეკომენდაციების მომზადებას. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები, იურიდიული და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტები. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოალიციური პროექტის შეტანა შესაძლებელია ასევე USAID ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში "პარტნიორობა ცვლილებისთვის". განაცხადების შეტანის ბოლო ვადა არის 14 თებერვალი. გრანტის მოცულობა შეადგენს 60 ათას დოლარს და პროექტის მაქსიმალური ვადა არს წელიწადნახევარი.

თანაკოორდინატორის თქმით, პრობლემაა ის, რომ საკონკურსო თემატიკაში არ არის გარემოს დაცვა და ენერგეტიკა. იგივე ეხება ევროკავშირის კონკურსებსაც. იმისათვის რომ შემდეგში ეს თემები მოხვდეს პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის, საჭიროა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს ამ საკითხზე. თანაკოორდინატორის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ევროკავშირი, USAID, მსოფლიო ბანკი, IBRD და Sida განსაზღვრავენ თავიანთ სამწლიან სტრატეგიას საქართველოსთვის იმ პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელსაც მათ აწვდის საქართველოს მთავრობა. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს შესთავაზა თებერვალში შეხვედრის ორგანიზება გარემოს დაცვის და ენერგეტიკის მინისტრებთან, რათა ჯგუფს ჰქონდეს საშუალება დაასახელოს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც უნდა აისახოს დონორების მომდევნო წლების სამოქმედო გეგმებში. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრის ორგანიზებამდე თანაკოორდინატორები გარემოს დაცვის და ენერგეტიკის მინისტრების სახელზე, ერთი კვირის ვადაში, მოამზადებენ წერილებს, რომელშიც საუბარი იქნება პრიორიტეტებსა და მათ მნიშვნელობაზე. წერილები შესაძლებელია გაიგზავნოს როგორც მესამე სამუშაო ჯგუფის, ასევე მთლიანად პლატფორმის სახელით.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ასევე ევროკავშირის საგრანტო პოლიტიკაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. თანაკოორდინატორის აზრით, ევროკავშირის საგრანტო ბიუროკრატიის პირობებში ძალიან რთულია კონკურსებში გამარჯვება და დაფინანსების მოპოვება. ის 10 პროცენტი, რომელსაც ევროკავშირი ითხოვს კონტრიბუციის სახით, საკმაოდ მძიმე ვითარებაში აყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ხელს უშლის მათ განვითარებას. საჭიროა შეიცვალოს არსებული სტრუქტურა და ევროკავშირის საგრანტო კონკურსები უფრო მოქნილი გახდეს. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ მესამე სამუშაო ჯგუფი დაიწყებს ამ მიმართულებით მუშაობას და დაინტერესების შემთხვევაში ჩართავს პლატფორმის სხვა ჯგუფებსაც.

თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ ოქტომბერში საქართველოში, კერძოდ ბათუმში, ჩატარდება ძალიან დიდი კონფერენცია კლიმატთან დაკავშირებით. კონფერენციას

ორგანიზებას უწევს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია და კლიმატის ჩარჩო კონვენციის სამდივნო. თანაკოორდინატორის აზრით, ჯგუფი ძალიან აქტიურად უნდა მოემზადოს ამ კონფერენციისთვის. გარდა ამისა, 14 მარტს მესამე სამუშაო ჯგუფი ჩაატარებს კონფერენციას მაღალი კაშხლების შესახებ.

შეხვედრის ბოლოს ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა თანაკოორდინატორებს სთხოვა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე გაარკვიონ თუ რა აქტივობებია გაწერილი მესამე სამუშაო ჯგუფზე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია